WORLD KARATE FEDERATION

აჭარის ჩემპიონატი სპორტულ კარატეში

ბათუმი 15 თებერვალი 2026წ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დამტკიცებული:
ა(ა)იპ აჭარის სპორტული კარატეს ფედერაციის
პრეზიდენტის მიერ
2026 წ 20 იანვარი ბრძანება # 02

მისასალმებელი სიტყვა,

ძვირფასო სპორტსმენებო , მწვრთნელებო, ოფიციალურო პირებო და საპატიო სტუმრებო, აჭარის სპორტული კარატეს ფედერაცია, მოგესალმებათ აჭარის ჩემპიონატის 2026 წლის მონაწილეებს.აღნიშნული ღონისძიება წარმოადგენს კიდევ ერთ ეტაპს კარატეს ხელოვნების პოპულარიზაციის გზაზე .

.....მადლობას გიხდით ჩემპიონატში მონაწილეობისთვის და ჩართულობისთვის. გისურვებთ წარმატებებს!

ორგანიზატორი
აჭარის სპორტული კარატეს ფედერაცის
პრეზიდენტი ნუგზარ ხემშიაშვილი

მხარდამჭერი ორგანიზაცია
აჭარის სპორტის სამინისტრო.

აჭარის სპორტული კარატეს ფედერაცია ს/კ 445810276
მის. ბათუმი ეგ. ნინოშვილის ქ #2

<u>ჩემპიონატის სამსაჯო გუნდი</u>

შეჯიბრზე იმსაჯებენ კარატეს მსოფლიოსა (WKF)და ევროპის (EKF) ფედერაციის, ასევე საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის მიერ აკრედიტებული მსაჯები. ჩემპიონატის მთავარი მსაჯი , საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე WKF&EKF - სერტიფიცირებული მსაჯი კონსტანტინე ახალაძე.

<u>ჩემპიონატის მიზნები და ამოცანები</u>

....კარატეს განვითარება და პოპულარიზაცია;

....სპორტსმენების,მწვრთნელების და მსაჯების ხელშეწყობა გამოცდილების მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;

...საპასუხისმგებლო შეჯიბრების წინ სპორტსმენების სათანადო სპორტულ კონდიციაში მოყვანა;

...აღნიშნულ შეჯიბრს აქვს სარეიტინგო მნიშვნელობა აჭარის რეგიონის სპორტსმენებისთვის.

<u>შეჯიბრის სარეგისტრაციო პირობები</u>

სპორტსმენები შეჯიბრში იასპარეზებენ იმ ასაკობრივ კატეგორიაში რომელიც შეესაბამება ჩემპიონატის ჩატარების დღეს 2026წ 15 თებერვალი. შეჯიბრზე მონაწილეობის მსურველებმა უნდა დარეგისტრირდნენ ონლაინ პლატფორმაზე (www. Sportlab.ge) შესაბამის ასაკობრივ და წონით კატეგორიაში არაუგვიანეს 2026 წლის 14 თებერვლისა. წინააღმდეგ შემთხვევაში სპორტსმენი შეჯიბრზე არ დაიშვება.

შეჯიბრზე მონაწელე სპორტსმენების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე პასუხისმგებლობას იღებს მისი წარმდგენი კლუბის ხემძღვანელი.

რეგისტრაციის დახურვის შემდგომ, ნებისმიერი ცვლილება რომელიც გამოწვეულია კლუბის მიერ დაშვებული უზუსტობის გამო, განხორციელდება მხოლოდ დამატებითი თანხის გადახდის პირობით, რომელიც შეადგენს 50 (ორმოცდაათი)ლარს ყოველცვლილებაზე .უშუალოდ შეჯიბრის დღეს ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია.

კლუბის ხელმძღვანელი ვალდებულია რეგისტრაციის დახურვამდე შეამოწმოს მის მიერ მიმდინარე შეჯიბრზე დარეგისტრირებული მონაწილეების სია. (www.sportlab.ge) (საკუთარი კლუბის გვერდზე „ აქტივობები“-ს განყოფილება)

შეჯიბრზე მონაწილეობა უფასოა

<u>ჩემპიონატის ჩატარების წესები და რეგულაცია</u>

შეჯიბრი ჩატარდება მსოფლიო კარატეს ფედერაციის (WKF)დამტკიცებული წესდების შესაბამისად. ყველა სპორტსმენი ვალდებულია გამოცხადდეს საშეჯიბრო მოსამზადებელ არეალში,

გასახურებელ ზონაში. შეჯიბრების ორგანიზატორების მიერ გამოცხადებიდან არაუმეტეს 15 წუთისა, რომელზეც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მწვრთნელს, დაგვიანების შემთხვევაში სპორტსმენი მოიხსნება შეჯიბრებიდან.

სპორტსმენი რომელიც 2 წუთის განმავლობაში არ გამოცხადდება ტატამზე შესაბამისი აღჭურვილობით (კაპა , შესაბამისი ფერის ქამარი კარატეს ამუნიცია) დისკვალიფიცირებული იქნება შეჯიბრებიდან. 6-7 წლის ასაკიდან 12-13 წლის ასაკის ჩათვლით მონაწილეთათვის

სავალდებულოა ჩაფხუტი, (ამუნიცია) ჟილეტი, კაპა .ხოლო 14-15 წლიდან მხოლოდ ჟილეტი ვაჟებში და კაპა ასევე გოგონებში მკერდის დამცავი და კაპა.

საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დადგენილი მოქმედების წესების დაცვა, დარბაზში ტურნირის მიმდინარეობისას სავალდებულოა როგორც სპორტული კლუბების წარმომადგენლებისთვის , ასევე გულშემატკივრებისთვის , მათი მხრიდანარე თიკურისაქციელის სამსაჯო კომიტეტის დაფიქსირების შემთხვევაში გამოყენებული იქნება შესაბამისი დისციპლინურიპასუხი სმგებლობისზომები, რომელიცშესაძლებელია შეეხოს სპორტსმენს, მის მწვრთნელს და კლუბს, რომელსაც დამრღვევი პირი და/ან პირები წარმოადგენენ.
მწვრთნელი სპორტული ფორმის გარეშე ტატამზე არ დაიშვება მოასპარეზე სპორტსმენს უნდა ახლდეს მხოლოდ ერთი მრწვთნელი. მწვრთნელები, რომელთა სპორტსმენები არ გამოდიან მოცემული დროის მონაკვეთში, არ უნდა იმყოფებოდნენ საასპარეზო სივრცეში. აღნიშნული დარღვევა გამოიწვევს მათ დისკვალიფიკაციას მიმდინარე შეჯიბრებიდან.

დაჯილდოების ცერემონიალზე სპორტსმენები დაიშვებიან მხოლოდ კარატეგით ან სტანდარტული სპორტული ფორმით (ზედა მოსაცმელი გრძელი სპორტული შარვლით) დაჯილდოების ცერემონიის დროს კვარცხლბეკთან დაუშვებელია ფოტო და ვიდეო გადაღება არაოფიციალური პირების მონაწილეობით. აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებელია სპეციალური ნებართვა, რომელსაც გასცემს საორგანიზაციო კომიტეტი.

<u>სპორტსმენების აწონვები</u>

_მონაწილე სპორტსმენთა აწონვები განხორციელდება 2026 წლის 14 თებერვალს მისამართზე -,ეგნატე ნინოშვილის# 2 დღის 10სთ-დან 17 საათამდე. სპორტსმენების წონა უნდა აკმაყოფილებდეს წონითი კატეგორიების მოთხოვნებს დასაშვებია ბიჭებში +1000 გრ. და გოგონებში +1000 გრ. სხვაობა. სპორტსმენი, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას არ დაიშვება შეჯიბრზე.

ჩემპიონატის ასაკობრივი და წონით კატეგორიები

ასაკი	ვაჟები	გოგონები	დრო.წთ
6-7	-22 / -27 /+27 (კგ)	-22 / -27 / +27 (კგ)	1,5
8-9	-25 / -32 / -38 / +38 (კგ)	-28 / -35 / +35 (კგ)	1.5
10-11	-30 / -35 / -40 / -45 / +45 (კგ)	-30 / -35 / -40 / +40 (კგ)	1.5
12-13	-40 / -45 / -50 / -55 / +55 (კგ)	-42 / -47 /-52 / +52 (კგ)	1.5
14-15	-52 / -57 / -63 / -70/ +70 (კგ)	-47 / -54 / -61 / +61 (კგ)	2
16-17	-55 / -61 / -68 / -76 / +76 (კგ)	-48 / -53 / -59 / -66 / +66 (კგ)	2
+18	-60 / -67 / -75 / -84 / +84 (კგ)	-50 / -55 / -61 / -68 / +68 (კგ)	3

სპორტსმენების წილისყრა განხორციელდება 2026წლის 14 თებერვალს და შეხვედრების ტექნიკური ბადე გამოქვეყნდება ონლაინ პლატფორმაზე (**www.sportlab.ge**)

შენიშვნა:
შეჯიბრება წარიმართება დამამშვიდებელი სისტემით სპორტსმენი, რომელიც 2 წუთის განმავლობაში არ გამოცხადდება სათანადო ეკიპირებით მიეცემა დისკვალიფიკაცია.

ასპარეზობის პროგრამა

2026 წ 14 თებერვალი- სტურნირზე რეგისტრაციის დასრულება.
2026 წ 14თებერვალირეგისტრირებულ სპორტსმენთა აწონვები მისამართზე: ნინოშვილის ქ#2'
2026 წ 14 თებერვალი მსაჯთა სემინარი.
2026 წ 15 თებერვალს მსაჯთა წინასაშეჯიბრო სემინარი
2026 წ 15თებერვალი ტურნირის შეჯიბრის დაწყების დრო 10:00სთ , დაჯილდოების ცერემონია წარიმართება წონითი კატეგორიის დასრულებისთანავე.

შეჯიბრის საორიენტაციო განრიგი

2026 წ 14 თებერვალს ონლაინ პლატფორმაზე (www.sportlab.ge) გამოქვეყნდება ტურნირის შესაბამისი კატეგორიების დაწყების დრო და შეჯიბრებაზე მონაწილეთათვის სიები, რის საფუძველზეც გამოქვეყნდება საბოლოო განრიგი.

საშეჯიბრო დარბაზი

შეჯიბრის ჩატარდება შემდეგ მისამართზე ხელვაჩაური, სასპორტო დარბაზი.

შენიშვნა:
ტურნირის ორგანიზატორები იტოვებს უფლებას შეჯიბრის მსვლელობის პერიოდში განახორციელონ ცვლილებები, რის შესახებაც მონაწილეებს ეცნობებათ საჯაროდ

აჭარის სპორტული კარატეს ფედერაციის
პრეზიდენტი ნუგზარ ხემშიაშვილი

ACHARA SPORTS KARATE FEDERATION
44581 0276